საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030162473207617

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/51795 **10 / აგვისტო / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აღებული აქვს ვალდებულება საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევრო გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით. მიმდინარე წელს სამინისტროს გადასახდელი აქვს წინა წლებში საქართველოს მხრიდან წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვის გრაფიკებით 2017 წლისთვის გათვალისწინებული თანხები და ასევე, მიმდინარე წლის საწევრო გადასახადები შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებში:

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO)
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)
- წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC)
- გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენცია თამბაქოს კონტროლის შესახებ (WHO FCTC)

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევრო გადასახადების სრულად დაფარვის მიზნით, (კურსის ცვლილების გამო) ესაჭიროება „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ პროგრამის „გრანტების“ მუხლში ასიგნების ზრდა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების“ პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნოე ქინქლაძე

6. [illegible]